ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2931
ხუთშაბათი
13 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2931
ხუთშაბათი
13 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-“Моамбе“. ტელეფონი № 372.

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს“ გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის
დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცის და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.
☛ მ. და ი. მანდლ ☚
მოიპოვებს უოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შემლებას აძლევს „ექსელანს“-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.
საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად
„ექსელანსის“ მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს.
(50—6.—10)

კნეინა სოფიო მელიტონის ასული სუმბათაშვილისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 14 ოქტომბერს, დილის 10 საათზე გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში

თ. ვასილ ალექსანდრეს ძის სუმბათაშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ეკატირინე ალექსანდრეს ასული ზუბალაშვილისა ვაჟებით გულითად მადლობას უძღვნიან ყველა იმ პირთ, ვინც დეპეშებით, წერილებით და თანადასწრებით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს ჩვენის მწუხარების დროს. (1—1)

ალექსი და სონა თათარაშვილები, დეკანოზი **ლაზარე ალექსის-ძე ტურიაშვილი**, მეუღლით და შვილებით, **ოლგა დავითის** ასული **ნადირაშვილისა**, **ევა ალექსის** ასული **ქიტიაშვილისა** აუწყებენ დიდის მწუხარებით ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

მარიამ ალექსის ასულის თათარაშვილისას

პირველნი, მეორე და მეექვსე დედისას, მესამე და მეშვიდე დისას, მეოთხე მულისას, მეხუთენი მამიდისას. დასაფლავება სოფელ ტიბაანში, სიღნაღის მაზრა ხირსის მონასტერში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

„ალაზანი“
კახეთიის მევენახეთა ამხანაგობამ
დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792
(10—4)

№ 3 **ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** **პირველი აბონიმენტი**

ხუთშაბათს, 13 ოქტომბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა**

I
მამა
ტრაგედია 3 მოქმ. ა. სტრინდბერგისა,
თარგმანი თ. ხუსკივაძის მიერ.

II
ბებრის სალერღელი
ვოდევილი 1 მოქმ. მაზურკევიჩისა
თარგმანი დ. აწყურელისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, კ. ყიფიანი, ზ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, ვ. ურუშაძე.

წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზედ

ადგილების ფასი: ლოჟები 2 მ.-დან 10 მ.-მდე, ბალკონი 60 კ.-დან 75 კ.-მდე, ავფითეატრი 1 მ. გალერეია 25 კ.-დან 35 კ.-მდე. მოსწავლეთათვის ადგილები ლოჟებში 40 კაპ.

მზადდება წარმოსადგენად: „სულით ობოლი“, „შიო თავადი“, „მარუჩა“, „ქოხში“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს:

1) ყველანი ისხდნენ მხოლოდ თავიანთ ადგილებზე, რაიც აღნიშნულია ხოლმე ბილეთებზე, რათა ამით დამყარდეს სასურველი და საჭირო წეს-რიგიანობა; 2) პიესის წარმოდგენის დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო დროს მოქმედების შეწყვეტა შთაბეჭდილების მთლიანობას აფუჭებს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკვრელად; 3) მეორე ზარის შემდეგ ყველანი დასხდნენ თავიანთ ადგილას და ამით ხელი შეუწყონ ანტრაქტების შემცირებას და ამავე დროს მოერიდნენ სხვა მაყურებელთა შეწუხებას უდროვო დროს ადგილების ძებნით.

რეჟისორი **ვ. გუნია**

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—11)

მედიცინის დოქტორმა
ზ. ი. გურგენოვამ,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საა-

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10-დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—9)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის გუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს

ქუთაისში

ქალაქის კლუბში 22 ოქტომბერს **გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის „წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ სამკითხველოს** სასარგებლოდ გაიმართება

საცეკვაო საღამო

საკონცერტო განყოფილებით. (უ. 3—1)

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ტფ. ქართ. თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში **თავისუფალი ადგილია გიმნაზიის ექიმისა**, რომელსაც ჯამაგირად ექმნება 2000 მან. ვისაც ჰსურს ხსენებულ ადგილზე გამწესდეს, არზით უნდა მიჰმართოს საზოგად. გამგე კომიტეტს. (3—6.—1)

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე 9—2-მდე და 5—7 საათამდე, კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპექტი № 12, სახლი მდივნისა. (30—27)

ექიმი
მ. პ. გეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—1)

ექიმი
მ. დ. კილოსანიძე
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. და საღამოობით 5—6 ს.-მდე კოჩუბეევის ქ. № 23 (მიხაილოვის ქუჩიდან). (15—366—11)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—16)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

სერგეი მესხის მოსაგონებლად

გუშინ, 12 ოქტომბერს, შესრულდა სამოცი წელიწადი ჩვენის პირველ პროფესსიონალურ პუბლიცისტის დაუვიწყარ სერგეი მესხის დაბადების დღიდან.

სერგეი მესხი ეკუთვნოდა სიმონ მესხის ნიჭიერ ოჯახს, დაიბადა 1845 წელს. განათლება მიიღო ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში, ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლა 1868 წელს დაამთავრა და მაშინვე დაბრუნდა სამშობლოში. ის ხანა, რომელიც სერგეი მესხმა რუსეთის სატახტო ქალაქში გაატარა, მრავალმხრივ შესანიშნავი იყო. ამ დროს აყვავდა პირველად რუსეთის პუბლიცისტიკა და საერთოდ მწერლობა, ამ დროს განვითარდა რუსეთში ფართო დემოკრატიული აზროვნება. უეჭველია, ეს გარემოება ყრუდ ვერ ჩაივლიდა პეტერბურგის მოსწავლე ქართველობისთვის საერთოდ და კერძოდ სერგეი მესხისთვის მით უმეტეს, რომ სერგეი მესხი მაშინვე დიდის ინტერესით ადევნებდა თვალყურს ქართულ ცხოვრებას და მწერლობას, რომელიც ახლად იდგამდა ფეხს.

1869 წელს სერგეი მესხი უკვე ქართველ მწერლების რიცხვ მცირე გუნდის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი იყო. ამ დროს ახალგაზრდა ქართველობა პირველად გამოვიდა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე დემოკრატიულის მიმართულებით. ძველი თაობა, რომლის ტიპიური წარმომადგენელიც გრიგოლ ორბელიანი იყო, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა სერგეი მესხს და იმის თანამოაზრეებს, რომელნიც სასტიკად ჰგმობდნენ „მამების“ მცონარეობას, კანცელარიებსა და პოლკებში სამსახურს, თავდავიწყებულს ქეიფს და უშინაარსო პატრიოტიზმს. ძველი თაობისა და ახალგაზდობის შუა გაჩაღდა ბრძოლა და ამ ბრძოლაში უკანასკნელი ადგილი არ ეჭირა სერგეი მესხს.

ახალი თაობის შეხედულებათა მთავარი ძარღვი იყო რეალიზმი სამშობლოს სიყვარულისა. სერგეი მესხი და იმისი თანამედროვენი საჭიროდ სთვლიდნენ ერის საკეთილდღეო პრაქტიკულ მოქმედებას, ებრძოდნენ უმეცრებას და ფიქრობდნენ ეროვნულ ცხოვრების გაძლიერებას ბანკების და ამხანაგობების დაარსებით. ახალი თაობა ეროვნულს პრინციპს შინაარსს უჩენდა, ერის სიმწირის მიზეზად უმთავრესად უვიცობას სთვლიდა; სწავლა-განათლება წინმსვლელობის დედა-ბოძად ჰქონდა წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა სკოლებზე, ლიტერატურასა და თეატრზე ჰზრუნავდნენ. სერგეი მესხი ამ მიმართულების ერთ-ერთი გულწრფელი წარმომადგენელი იყო და მთელი თავისი ძალ-ღონე შესწირა ქართულ პერიოდულ ლიტერატურის განმტკიცებას.

სერგეი მესხი გადაიცვალა 1883 წელს, ოცდათვრამეტის წლისა. იმისი ნაწერები ჯერ-ჯერობით ერთად გამოცემული არ არის. 1904 წელს ბ-ნმა სამსონ ფირცხალავამ გამოსცა სერგეი მესხის ნაწერების პირველი ტომი, რომელშიაც მოქცეულია იმისი რჩეული ნაწერები. როგორც ამ წიგნის გამომცემელი ამბობს, მოგროვილია აგრეთვე ვრცელი მასალა სერგეი მესხის ბიოგრაფიისთვის. ამ მასალის გამოქვეყნება აუცილებლად საჭიროა, რადგან ეხლა სერგეი მესხის ნაწერებს მხოლოდ ისტორიული ინტერესი აქვთ და სერგეი მესხის პუბლიცისტურ მნიშვნელობის სრული გამორკვევა-კი შეუძლებელია, ვიდრე საკმაოდ ვრცელი ბიოგრაფიული ცნობები არ გვექნება ხელთ.

***

დაუჯერებელი ამბავი.

ამას წინად დეპეშამ ყრუდ გადმოგვცა დაუჯერებელი ამბავი, ვითომ მთავრობას გადაეწყვიტოს კავკასიის დასახლება ყაზახ-რუსებით. მაშინ ჩვენ არ მივაქციეთ ყურადღება ასეთ სენსაციურს ხმას და ვიფიქრეთ, ალბათ, ესეც ისეთი ჭორია, რომლის მზგავსი სხვაც ბევრი იბეჭდება რუსულს გაზეთებში ჩვენის ქვეყნის შესახებ, მაგრამ დღეს მიღებული გაზეთები *) ძალაუნებურათ გვაფიქრებინებენ რაღაცას და გვაიძულებენ მკითხველთაც გავუზიაროთ ჩვენი ეჭვი.

საქმე ისაა, რომ გაზეთებში ნათლად არის გამოთქმული, ყაზახ-რუსთა დღევანდელი სამხედრო წეს-წყობილება არ ისპობაო და ტყუილია ის ხმები, ვითომ მათი ყოფა-ცხოვრება საერთო მოქალაქობრივ წესზე მოეწყობაო. პირიქით, დღევანდელი მათი დაყოფა „ჯარებათ“ (დონის, თერგის, ყუბანის ყაზახები) რჩება და კიდევ მოემატება ერთი „ჯარი“, ერთი ოლქიო. ამას გაზეთი „რუს“ დასძენს, ყაზახები კავკასიაში იქნება დასახლებულიო. ხოლო რადგან ჩრდილოეთ კავკასია ისედაც ავსილია ყაზახ-რუსებით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ჟამად მთავრობას ამიერ-კავკასია ჰყავს სახეში. ეს მით უფრო საგულისხმებელია, რომ ბიუროკრატიას, ადგილობრივსა და ცენტრალურს, არა ერთხელ უთქვამს და უმტკიცებია: ამიერ-კავკასია მაშინ შეუერთდება მჭიდროდ რუსეთს, როცა ის მრავლად დასახლებულ იქნება რუსებითაო.

ჩვენ არაფერი არ გვეთქმის რუსების გადმოსახლების წინააღმდეგ. ქართველ საზოგადოებას და პრესსას არა ერთხელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ყველა მშრომელ ხალხს შეუძლია ჩვენს ქვეყანას თავი შემოაფაროს, თუ ის სახლში გაჭირვებულია, თუ მას შიმშილი ან მტრის შემოსევა აიძულებს ჩვენში გადმოსახლებას; მაგრამ, განა დრო არ არის ვიკითხოთ: შეიძლება თუ არა კიდევ ჩვენში ვისმეს გადმოსახლება? შეიძლება თუ არა დღევანდელს ჩვენს ტერრიტორიაზე სხვისი დასახლება ადგილობრივ მკვიდრთა შეუწუხებლადა და შეუვიწროებლად?!. არავის არ გაუჭირდება ამ საკითხზე პასუხის გაცემა. მთელი ჩვენი აგრარული მოძრაობა უტყუარი მოწმეა იმისა, რომ ხალხი მეტის მეტად შევიწროებულია მიწის სიმცირით. ადგილ-მამულის სივიწროვე უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს არა თუ მარტო გლეხობას, თვით თავად-აზნაურებსაც. დღეს მთელი ჩვენი მეურნეთა კლასი დრტვინავს მიწის სიცოტავით და, ცოტა დრო რომ გაივლის, მეურნეობა სრულიად შეუძლებელი გახდება, თუ რადიკალური ცვლილება არ მოხდა მიწის მფლობელობასა და მეურნეობის საქმეში...

თვით კავკასიის ბიუროკრატია დარწმუნდა ბოლოს დროს, რომ საქართველოს პროვინციაში გლეხთა მოძრაობის მთავარი მიზეზი ადგილ-მამულის სიმცირეა და რომ დანარჩენ ამიერ-კავკასიაშიაც ამ მხრით საქმე არ არის კარგად. სწორედ ამიტომ განაცხადა მან, შევუდექი აგრარულ რეფორმის მოხდენას, განვიზრახე აქაურ გლეხთა უზრუნველყოფა მიწითაო; სწორედ ამიტომ აკრძალა მან რუსის გლეხთა აქ გადმოსახლება; სწორედ იმისთვის განიზრახა სახელმწიფო საგლეხო ბანკის დაარსება, რომ ადგილობრივ გლეხთ შეაძლებინონ მიწათ-მფლობელობის გადიდებ-გაფართოვება. რამდენადაც შესაძლებელია გაიგო ის, რაც ხდება ბიუროკრატიულს კანცელარიებში, რაც ირკვევა და სდგება „ხალხის საკეთილდღეოდ“ საიდუმლო კულისებს უკან, უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივ მთავრობას მართლა აქვს განზრახული გლეხთა მიწათ-მფლობელობის გაფართოვება სახაზინო და კერძო მამულების შემწეობით.

თუ ეს ასეა, ვეღარ გაგვიგია, სად უნდა დაასახლონ ყაზახები? სად არის ის „თავისუფალი“ სახაზინო მამულები, რომელიც მათ უნდა დაურიგონ? ვინ და როგორ შეთხზა უცნაური პროექტი ჩვენს ქვეყანაში ყაზახთა „ოლქის“ ან „ჯარის“ შექმნისა? უეჭველია, ასეთი საკითხებით და თანაც შემაშფოთებელის ეჭვით გაიმსჭვალება ჩვენი ხალხი, როცა იმის ყურამდე მიაღწევს დაუჯერებელი ამბავი და ვეჭვობთ, რომ ამისთანა პროექტებმა შესძლოს ხალხის დამშვიდება-დამშვიდება, რაც ასე მხურვალედ სწადია ჩვენს ბიუროკრატიას. თუ დღემდის ჩვენი საზოგადოება და ხალხი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ჩვენს მიწა-წყალზე, რომელიც ჩვენც არ გვყოფნის, შიდა-რუსეთის გლეხებს ასახლებენ და სხვა და სხვა ღონისძიებით ხელოვნურად აფართოვებენ რუსის გლეხთა ადგილობრივ მოსახლეობას თუ კი ეს უკმაყოფილება მშრომელ გლეხებს სწვდებოდა, რაღა იქნება, როცა გადმოსახლებას ყაზახებს დაუპირებენ?.. ჩვენთვის ეჭვს გარეშეა, რომ ეს უფრო მეტად აწეწავს აქაურობას, უფრო გაამწვავებს საქმეს და მდგომარეობას. ბოლოს და ბოლოს შეუძლებელიც გახდება უცნაურ პროექტის სისრულეში მოყვანა...

მაშ, თუ ასეა, თუ პეტერბურგის სფეროებსაც ესმით რა გამწვავება უნდა მოჰყვეს მათ უცნაურ პროექტების განხორციელებას, ვინ არის ის „ბოროტი სული“, რომელიც ასეთ უგუნურებას წასჩურჩულებს ხოლმე რუს-ბიუროკრატიას ჩვენის ქვეყნის

---

*) ეს წერილი 2 კვირის წინადაა დაწერილი.

მარქსისტების ახალი „იერიში“ [illegible]

ჩვენი მარქსისტები ისე ხმას ვერ ამოიღებენ ფედერალისტების შესახებ, რომ რიხიანად არა ბრძანონ, ჩვენმა „მატერიალისტურმა ანალიზმა“ და დიალექტიურმა კრიტიკამ უკვე საბოლოოდ გამოააშკარავა ფედერალისტების ბურჟუობა და დაამტკიცა, ვისთვის არის სასარგებლო და ვისთვის საზარალო ავტონომიაო. ქართველი მარქსისტები თითქოს დღესასწაულობენ კიდეც თავის გამარჯვებას ფედერალისტებზე, მაგრამ მოსვენებით-კი მაინც ვერ მოუსვენიათ, დღე მუდამ კულანდებურად განაგრძობენ ლიტერატურულ ბრძოლას ფედერალისტებთან და ახალ-ახალ ფანდებს ხმარობენ უკვე, მათის სიტყვით, დამარცხებულ მოწინააღმდეგეების ხელახლა დასამარცხებლად.

რატომ მოსდით ეს წინააღმდეგობა, რატომ განაგრძობენ ბრძოლას, თუ უკვე გამარჯვება მოიპოვეს? ამ კითხვებზე დეე მკითხველმა თვითონ გასცეს პასუხი. პირადად ჩვენ, რომელთაც ფედერალისტებს გვეძახიან, ძალიან კარგად გვესმის მოგზაურელთა მოქმედების შინაგანი მიზეზი და ვიცით აგრეთვე, რომ რაც ხანი გავა, მით უფრო თავგანწირულს იერიშებს მოიტანენ ჩვენზე.

ერთი ასეთი იერიში მოაქვს ფედერალისტებზე ბ-ნს გ. —ს „მოგზაურის“ უკანასკნელ ნომერში. ფედერალისტები უტოპისტები არიანო, სწერს მოგზაურის პუბლიცისტი. ეს უტოპისტობა თურმე იმაში გამოიხატება, რომ ფედერალისტებისთვის „ნაციონალიზმი ზეისტორიული კატეგორიაა, რომელიც არსებობს მას შემდეგ, რაც ღმერთმა ადამს და ევას ერთი მეორის სიყვარული ჩაუნერგა და იარსებებს, სანამ „მეორედ მოსვლა“ ჩვენ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ბოლოს არ მოუღებსო“. პოლემიკურს კილოს რომ არ გამოვუდგეთ, ცხადად დავინახავთ, რას გვიკიჟინებს გაზეთი „მოგზაური“. ნაციონალიზმი—ზეისტორიულ კატეგორიად მიგაჩნიათ; ეს-კი უტოპისტობააო—აი „მოგზაურის“ აზრი.

ფაქტიურად ეს საყვედური მართალი არ არის. ნაციონალიზმი ისტორიის გარეშე მყოფ ძალად სრულიადაც არ მიაჩნიათ ფედერალისტებს, პირიქით, ფედერალისტების აზრით, ნაციონალიზმი ისეთივე ისტორიული მოვლენაა, როგორც ყოველივე სხვა საზოგადოებრივ ხასიათის მოვლენა, აზრი და მიმართულება. ფედერალისტებმა ძალიან კარგად იციან, რომ კაცობრიობის განვითარება მხოლოდ კულტურის განსაზღვრულ საფეხურზე ჰქმნის ეროვნულს ერთეულს. მაგრამ დეე „მოგზაურის“ პუბლიცისტის პასუხის მგებლობაზე დარჩეს ეს გადამახინჯება ფედერალისტების აზრებისა. დღეს ჩვენს მოკლე წერილში მკითხველის ყურადღება სულ სხვა გარემოებას გვინდა მივაქციოთ, სახელდობრ იმას, რომ „მოგზაურელებს“ უტოპიზმის შესახებ მეტად „არა ისტორიული“ წარმოდგენა ჰქონიათ.

კაცობრიობის ისტორიამ ბევრი უტოპისტი [illegible]; პირველად უტოპისტები უძველესს საბერძნეთში გაჩნდნენ და მათი რიცხვი იმ დროიდან დაწყებული აქამომდე იზრდება. ყოველ დროის უტოპისტების დამახასიათებელი თვისება არის—ფანტასტიური გეგმა საზოგადოებრივის ცხოვრებისა. ფედერალისტებს, როგორც ყველას კარგად მოეხსენება, არავითარი ფანტასტიური გეგმა არ შეუთხზავთ და არ წარმოუდგენიათ, მაგრამ „მოგზაური“ იმათ მაინც უტოპისტებს უწოდებს. „მოგზაურელებს“ ჰგონიათ, რომ უტოპისტი ის არის, ვინც რაიმე ზეისტორიულ კატეგორიას სცნობს, და არა ვინც ფანტასტიურ გეგმებს სთხზავს. მოგზაურელების სიტყვით, ნაციონალიზმი ფედერალისტებისთვის ზეისტორიული კატეგორიაა, და აი სწორედ ამიტომ მიაწერეს მათ უტოპიზმი.

დღევანდლამდე აზრის იმ მიმართულებას, რომელიც ისტორიის გარეშე მყოფ ძალებს დაეძებს, მთელი ქვეყანა მეტაფიზიკის სახელით იცნობდა, მოგზაურელები-კი მეტაფიზიკას და უტოპიას ვერც არჩევენ ერთი ერთმანეთისაგან და არც სცდილობენ გაარჩიონ. მეტაფიზიკურ აზროვნებას შეიძლება დაუპირისპიროთ რეალისტური (ემპირიული) აზროვნება, რომელიც გარეშე ისტორიულ სინამდვილისა არაფერ არსებობას არა სცნობს და ყოველსავე ზეისტორიულ კატეგორიას უარჰყოფს, მაგრამ რეალისტი შეიძლება უტოპისტიც იყოს, რადგან იმასაც შეუძლიან იქონიოს ფანტასტიური გეგმა საზოგადოებრივის ცხოვრებისა.

ეგრედ წოდებული ზეისტორიული კატეგორიები დღეს არავის აღარა სწამს, აღარც უტოპისტების თავ-აშვებულ ოცნებებსა აქვს გასავალი, და ამიტომ არც საკვირველია, რომ მოგზაურელებს დიდი სურვილი აქვთ თავის მოწინააღმდეგეებს უტოპიაც თავზე მოახვიონ და ზეისტორიული კატეგორიაც. ცხადია, მოგზაურელებს ფედერალისტების დამარცხება სულ არ გაუჭირდებათ, თუ-კი ფედერალისტები ერთის მხრივ უტოპისტებად იქნებიან ცნობილნი და მეორის მხრივ მეტაფიზიკოსებად, მაგრამ სალიტერატურო ასპარეზი მაროლა ჭიდაობის მოედანი ხომ არ არის, რომ მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს ყოველნაირი ფანდი უგდონ.

არც ზეისტორიული კატეგორიები და არც უტოპიები არ შეადგენენ ფედერალისტების და ქართველ მარქსისტების შუა არსებულ განსხვავების ნიადაგს. აქ ამაოდ დაეძებს „მოგზაური“ განსხვავებას.

ქართველ მარქსისტების წინააღმდეგ ფედერალისტებმა წამოაყენეს ის შეხედულება, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების და იმის განვითარების ახსნა მარტოოდენ ეკონომიურ ფაქტორის საშუალებით არც სინამდვილეს შეეფერება და არც წმინდა თეორიის მოთხოვნას აკმაყოფილებსო. აი, ეს არის ნამდვილი წყარო აზრის სხვა და სხვაობისა მათ შორის და არა ის, ვითომ ფედერალისტები ზეისტორიულ კატეგორიებს სცნობდნენ და უტოპიებს მისდევდნენ.

Z.

სერგეი ტრუბეცკოის დაკრძალვა მოსკოვში

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(დასასრული *)

სამი საათის სიარულის შემდეგ პროცესია მიადგა უნივერსიტეტის ეკლესიას. აქ მოასმენინეს წირვა, აუგეს ანდერძი და ორ საათზედ გაასვენეს დონის მონასტრის სასაფლაოზედ. გზა და გზა ისევ ისეთივე ამბავი ხდებოდა, როგორც წინად ხალხი სულ ემატებოდა და ემატებოდა, „წმინდაო ღმერთო“ ნათლად გაისმოდა და ლოტბარი, ხელში აყვანილი, ხელმძღვანელობდა მგალობელთა უზარმაზარ გუნდს... და კვლავ გაისმოდა ჭაერში გმირული ძახილი, დიადი სიმღერა, გულ-ამღელვებელი სიტყვები. ჭაერში იდგა განუწყვეტელი ძახილი, და ყოველსავე ამასთან იყო სიწყნარე, წეს-რიგი, სჩანდა თადარიგი. სტუდენტთა ცდამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. ამ მაგალითმა დაამტკიცა, რომ წეს-რიგის დამრღვევი სულ სხვა ყოფილა და სადაც ეს „სხვა“ გაჩნდება, წეს-რიგიც იქ ირღვევა. აქ კი მათი ჭაჭანებაც არ იყო. ყველანი სადღაც გაქრნენ, დაიქსაქსნენ.

სწორედ ოთხი საათი მოუნდნენ უნივერსიტეტიდან სასაფლაომდე. მანძილი 7—8 ვერსტი იქნება. უკვე დაღამდა. ირგვლივ სიბნელემ მოიცვა არე-მარე. სასაფლაოზედ ხალხი ერთმანეთს ვერ არჩევდა, რომ სამგლოვიარო ზარის რეკამ ამცნო იქ მყოფთ ცხედრის მოსვენება.

კუბო ძლივს მიასვენეს საფლავთან. ჩაუშვეს იგი, მიწა მიაყარეს და ნორჩ, ახლად აღმოცენებულ საფლავზედ წარმოსთქვეს სიტყვები. პირველად სთქვა სიტყვა პროფესორმა მანუილოვმა, განსვენებულის თანაშემწემ, შემდეგ პროფესორმა ლაპატინმა, ხარკოვის პროფესორთა წარმომადგენელმა, პროფესორმა ჩუბინსკიმ, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, ებრაელთა რაბინმა.

ბოლოს გათავდა სიტყვები. მთავარმა უკანასკნელად სთქვა—„საუკუნოთ ხსენება“. „საუკუნოდ ხსენება,“ გაიმეორა მთავრის შემდეგ თხუთმეტიოდ ათასმა თავმოყრილმა ხალხმა.

საფლავს მიწა მიაყარეს და ხალხმა ნელ-ნელა იწყო დაშლა. თითქოს ბუნებამაც არ დასტოვა ეს ადამიანი უყურადღებოდ და გლოვის ძაძებში შემოსილმა, ღრუბლებით მოჭუდილმა ცამ სამძიმარი უთხრა: აპკურა ახალი საფლავი თავის ცრემლებით. ოდნავმა წვიმამ დანამა დედა-მიწა.

და დიადმა, სულის ჩამდგმელმა სიმღერამ შესცვალა „წმინდაო ღმერთო“. ათი ათასი ერთად შეგროვილი, ერთად თავმოყრილი ხალხი გაემართა სასაფლაოს გალავნიდან განიერ ქუჩისკენ. სიბნელეში აქა-იქ მოსჩნდა რამდენიმე წითელი დროშა. ხალხი მღეროდა და მისი სიმღერა შორს, შორს სივრცეში იფანტებოდა.

Al.

---

*იხ. „ცნობ. ფურც.“ № 2930

ახალი ამბავი

◆ 11 ოქტომბერს თავად-აზნაურთა დეპუტაცია იყო ნამესტნიკთან. დეპუტაციამ **შუამდგომლობა აღძრა ქართულ ეკლესიის ავტოკეფალობის** შესახებ. ნამესტნიკმა მიუგო, უპეტერბურგოდ მაგ საქმეს ვერ გადავწყვეტო.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ მთავრობამ გადასწყვიტა **ამერიკიდან უკანვე გადმოასახლოს დუხაბორები.** ამის თაობაზე პეტერბურგიდან კავკასიის უმაღლეს მთავრობას შეეკითხნენ, სად შეიძლება კავკასიაში დუხაბორების დასახლებაო.

◆ გუშინ ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე გენერალ-გუბერნატორთან იყო. გენერალ-გუბერნატორმა უთხრა, როგორც სიიდან სჩანს, **კანონიერი რიცხვი ხმოსნებისა** უკვე არის და გამგეობას შეუძლიან საბჭოს სხდომები დანიშნოსო.

◆ ქართველ მშობლების თხოვნა, საშუალო სასწავლებლებში **სამღვთო სჯულის ქართულ ენაზე სწავლების** შესახებ ნამესტნიკმა ექსარხოსს გადასცა. ექსარხოსს უკვე უცნობებია, რომ საკითხს ჩემის უფლებით, უსინოდოდ, ვერ გადავწყვეტო.

◆ ჩრდილოეთ-კავკასიის ქალაქ გროზნაში **დიდი შეტაკება მოსვლიათ** ახლად გაწვეულ სათადარიგო ჯარის-კაცებს და ვაჭარ ჩაჩნებს. საქმე იქამდე მისულა, რომ ჯარი დაუბარებიათ და სროლა დაუწყიათ. ჩაჩნების მხრივ მომკვდარა და დაჭრილა 14 კაცი. ჯარიდან მოუკლავთ ერთი ყაზახი და ერთი მილიციონერი დაღესტნის პოლკისა.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზას დიდრონ სადგურებზე აქვს თავისი სკოლები, რიცხვით 11. **არც ერთ სკოლაში არ ასწავლიან ქართულ ენას.** როგორც ყველა სხვა სასწავლებელს, რკინის გზის სასწავლებლებლის უფროსთაც მოუვიდათ მინისტრის ბრძანება, ამავე წლიდან შემოიღონ ქართული ენა რკინის გზის სასწავლებლებში. მიუხედავად ამ ბრძანებისა, ჯერ არაფერი არ ისმის. ხაშურისა და სამტრედიის სასწავლებლებში მეტ ნაწილად ქართველი ბავშვები არიან. გაუგებარია, აქ მაინც რად აგვიანებენ ქართულ ენის შემოღებას!

◆ დღეს, 13 ოქტომბერს, დაიწყება გარჩევა ავაქ არუშანოვის საქმისა. არუშანოვი, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, შეიპყრეს 25 სექტემბერს, როდესაც რამდენსამე ადგილას **ყაზახებს ყუმბარები ესროლეს.** არუშანოვის საქმეს სამხედრო სასამართლო გაარჩევს ხალხის დაუსწრებლად.

გურია-სამეგრელოს მღვდლებს საეპარქიო კანცელარიასთან ეხლა მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ. ამისთვის კანცელარიის მდივანს ავტონომოვს, ტომით რუსს, მთარგმნელი დაუქირავებია.

◆ გუშინ-წინ ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ სიმბირსკის ქალაქის თავისაგან **მიიღო შემდეგი დეპეშა**: სიმბირსკის ქალაქის საბჭო ღრმა აღშფოთებას აცხადებს იმ ძალმომრეობის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქის საბჭოს დარბაზში და რომლის გამოც ქალაქმა, მოურავისა და ხმოსნების პირით, უარჰყო მუშაობის განგრძობა ასეთ პირობებში“.

◆ ხმა იყო, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის **კონდუქტორებს ჯამაგირს უმატებენო.** როგორც გავიგეთ, 1906 წლიდან მართლაც განუზრახავთ ჯამაგირის მომატება. განზრახულია დაუნიშნონ: სამგზავრო მატარებლის ობერ-კონდუქტორს—წელიწადში 480 მან., ბარგის კონდუქტორს—360 მან., მეორე კლასის ტორმოზის კონდუქტორს—360 მან., საქონლის მატარებლის კონდუქტორებს: ობერს—420 მან., ბარგისას—360 მ., მეორე კლასის ტორმოზისას 300 მ., და მესამე კლასის ტორმოზისას 240-დან 260-მდე.

◆ ტფილისის დედათა მესამე გიმნაზიაში მრავალი ქართველი ქალი სწავლობს. ამისდა მიუხედავად საპედაგოგიო საბჭო დღევანდლამდე არ ფიქრობს **ქართული ენის სწავლებას.** ამ გიმნაზიის ქართველმა ქალებმა დაადგინეს, სთხოვონ გიმნაზიის მთავრობას შემოიღოს ქართულის ენის სწავლება.

◆ ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს თელავისა და ახალციხის სამაზრო განყოფილების წევრებმა ერთხმად **თანამდებობას თავი დაანებეს.** განყოფილებათა წევრნი სწერენ, საეპარქიო საბჭო ავიწროვებს სამაზრო განყოფილებათა კანონით მინიჭებულ უფლებებს სკოლების მართვა-გამგეობის საქმეში და ამიტომ სამსახური არ შეგვიძლიანო.

◆ საეპარქიო საბჭოს განკარგულებით **დაიკეტა მცხეთის დედათა მონასტრის სკოლა.** ამ სკოლაში ქართველი ქალები სწავლობდნენ.

◆ ქართლ-კახეთის საეპარქიო სასწავლო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა **ცნობილი მღვდელი გოროდცევი.** გოროდცევი მოღვაწეობს ტფ. მეორე სამისიონერო ეკლესიაში, სადაც შესდგა რკინის გზის ეგრედ წოდებული „პატრიოტული პარტია“.

◆ ტფილისის საკომერციო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭოს დაუდგენია **გაადიდოს ადგილობრივ ენების რიცხვი** და ამ ენების მასწავლებელთაც ისეთი ჯამაგირი დაუნიშნოს, როგორიც სხვა შტატის მასწავლებელთ აქვთ. დღემდე მოსამზადებელ კლასებში თვითეულ ადგილობრივ ენას დათმობილი ჰქონდა სამ-სამი გაკვეთილი, ამიერიდან იქნება ხუთ-ხუთი. დანარჩენ კლასებში ორ-ორი გაკვეთილი იყო, იქნება სამ-სამი. საპედაგოგიო საბჭოს დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა სასწავლებლის სამზრუნველო საბჭოს.

◆ მთავრობამ არ შეიწყნარა ცნობილ პალმის შუამდგომლობა **ტფილისში რუსულ გაზეთის** „ზაკავკაზსკი გოლოს“-ის გამოცემის შესახებ.

ფელეტონი

რა ამბავია ქართლში?

ქართლი ტანჯვაშია. —ზარალის აღმადგენელი კომისია და თავად-გლეხთა მორიგება.—თავად-აზნაურთა მილიციის მეთაურნი.—წითელი რაზმი.—დაჭერილები,—სოფლის მოხელეები და ეგზეკუციები.—ძარცვა-გლეჯა და ქურდობა.—რატომ არ მოხდა საერობო თათბირი?—მოსავალი. —სკოლები და მღვდლები.—რას თხოულობს „ერთობა“.

ის, რაც ეხლა ქართლში ხდება, არა მგონია კაცს სხვაგან სადმე ან ენახოს ან გაეგონოს. ყველაფერი ერთმანეთში აირია. გარჩევა აღარ არის, ვინ ვისა სდევნის და აწიოკებს, ვინ ვისა ჰკლავს და საიქიოს ისტუმრებს. ყველაზე მეტ ყურადღებას ჯარის სიმრავლე იქცევს. საითაც გაივლით და გაიხედავთ—ჯარია, ეგზეკუციაა. გლეხობა გმინავს, ბორგავს, იტანჯება. სწორედ გასაკვირველია, რა ასულდგმულებს სოფელს. არ მეგონა, თუ იმ თავითვე დაჩაგრული და დამონებული ქართლელი გლეხი ამდენ სიმტკიცეს, სულის ესოდენ სიმაგრეს გამოიჩენდა.

მე მხოლოდ გორის მაზრა დავიარე და გიამბობთ იმას, რაც ჩემის თვალით ვნახე, ან სარწმუნოდ გავიგონე.

კომისიამ, რომელიც თავად-აზნაურთა მარშლის თავმჯდომარეობით შესდგა გლეხთაგან მემამულეთა სასარგებლოდ ზარალის მოსაკრებად, უკვე გაათავა თავისი მოქმედება მტკვრის მარჯვენა მხარეს და გადავიდა მარცხენა მხარეს, კასპის და ქვემო ჭალის საზოგადოებებში. ქვემო ნიჩბისში თავად ციციშვილებმა გლეხებს საქმე მორიგებით გაუთავეს. კავთისხევსა, ახალქალაქსა, კასპსა ხოვლესა და ქვემო-ჭალაში მეტნაკლებად ასევე მოიქცნენ. ახალქალაქში ვერ მოურიგდა გლეხებს თავადი გიორგი იორამის ძე თარხან-მოურავი. ეს მემამულე მთლად ახდევინებს გლეხებს ღალას. სოფელს დოესში დიდი მემამულე თავ. რ. ი. ერისთავი ვერ მოურიგდა გლეხებს. გლეხები მეათედზე მეტს არ აძლევდნენ, ხოლო ერისთავი მეოთხედს არ უკლებდა. ამის შემდეგ ერისთავმა გამოუცხადა გლეხებს: რადგან ჩემს თხოვნას არ მისრულებთ, ეხლა რაც გინდათ, ისა ჰქენით, ჩივილით კი არსად გიჩივლებთო. ასე რომ ფაქტიურად გლეხებმა გაიმარჯვეს. ქარელსა, ხვედურეთსა, ხსისსა, წრომსა, სანებელსა, კეხიჯვარს და ყინწვისში, ამბობენ, თავ. ციციშვილები კარგად მოიქცნენო. ყველამ დაიკლეს, ზოგიც გლეხებმა მოუმატეს და საქმე მშვიდობიანად გაათავეს. შედარებით ვერ მორიგდნენ გლეხებთან მემამულენი თავ. ვეზირიშვილები სოფელ ოსიაურში და ბეგთაბეგიშვილები სოფ. ვაყაში. თავად ლუკა და ივანე ავთანდილის ძე ბეგთაბეგიშვილებმა დღიურ მიწაში გადაახდევინეს ორ-ორი კოდი პური; ნადელებში დღიურში—18 ჩანახი. ვერ მოურიგდნენ აგრეთვე სოფ. ქვიშხეთში თავ. სუმბათაშვილები.

ეხლა ეს კომისია გაემგზავრა სოფელ კნოლევში, საამირაჯიბოსა და საფალავანდიშვილოში. აქ გლეხები და ხსენებული თავადები მაგრა დაუდგნენ ერთმანეთს. მგონი, საქმე კეთილად არ გათავდეს. სამასი დრაგუნი და ორასი ყაზახი იქ არის. კომისია ჯერ არ გადასულა ოსების ხეობაში. ჯერ-ჯერობით ოსები მაგრა დგანან. არავის არ უშვებენ, არც მემამულეებს და არც პოლიციას.

ჩვენს მაზრაში თავად-აზნაურთა გუნდი, მთლად დაიშალა. იარაღიც-კი გადასცა გლეხთა ორგანიზაციებს, ე. ი. წითელ რაზმებს. ა. ა. კალატოზიშვილმა გაზეთებით ზიზღი გამოუცხადა აზნაურთა გუნდს, თავის კარ-მიდამოს თავი გაანება და სახლობით ბაქოში გაიხიზნა. გიორგი ვახტანგის ძე მაჩაბელი, რომელმაც პირველად გამოილაშქრა გაზეთებში და ქება ასხამდა შავის რაზმის მოქმედებას, დღეს ჩუმად არის. თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავითიშვილი, გორის მარშალი, კომისიას დასდევს.

წითელი რაზმი, როგორც ამბობენ, ეხლა მძლავრია. იარაღი ბლომადა აქვს და შეძლებისდაგვარად მოქმედებს. ეს რაზმი რიცხვით გამრავლდა, მას ოსობაც შეუერთდა. როგორც მითხრეს, ამ რაზმს აზრად მავნე პირებისა, ქურდებისა და ჯაშუშების მოსპობა აქვს. აი, ამ რაზმს გამოეკამათა ადმინისტრაცია და შეუდგა დევნასა და დაპატიმრებას. მთელს მაზრაში მრავალნი დაიჭირეს, კაციც და ქალიც, და ბევრნი ადმინისტრატიულის წესით სამშობლო ქვეყანას მოაშორეს. ადმინისტრაციას დასახმარებლად ჯარი ჰყავს. ყოველ რაზმს თან ახლავან დამრიგებელნი და მშველელნი.

7 ამ თვეს დრაგუნები მივიდნენ სოფელ საქაშეთში და თავად დიასამიძეების სახლი გაჩხრიკეს. სახლში ვერა იპოვნეს-რა. ამ რაზმში ორი კაცი იცვნეს, რომელთაც ახალუხებზე დრაგუნის ფარაჯები ეცვათ. ამ ორს შორის ერთი, როგორც გადმოგვცეს, მეჯვრის-ხეველი აზნაური იყო. რაზმმა გაიგო, რომ სოფ. საქაშეთში დგას ერთი „საეჭვო“ გლეხი, ლექსო ტარუაშვილი. მაშინვე მივიდა ამ კაცის დასაჭერად და დასაპატიმრებლად. ეს კაცი შინ არ იყო, იმის მაგიერ ერთი სტუმარი იყო. ამან ბევრი არწმუნა, ლექსო არა ვარ, სტუმარი ვარო, მაგრამ ვერა გააწყო-რა, ციხეში ამოჰყო თავი და დღესაც იქ არის.

სოფ. ალში დაიჭირეს ცხრა კაცი, მათ შორის სპირიდონ მაჭარაშვილი და სოლომონ ნოზაძე, სამი კაცი—სოფ. ტყვიავში, ოც კაცზედ მეტი—დაბა-ცხინვალში, ოცდაათზედ მეტი—ქალ. გორში, მრავალი სურამსა, ხაშურსა, ბორჯომში და სხვაგან. სოფ. აბანოს მებატონე თავ. ლიდო ბაგრატიონ-დავითიშვილი ცხენით მივიდა სოფელ წაღვლის ახლო. უცებ გავარდა თოფი, მაგრამ ლიდოს ტყვია ასცდა, ასკუპა ცხენი და თავს უშველა. ადმინისტრაციამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე გაეჩქარა სოფელ წაღვლისაკენ და იქ ათამდის კაცი დააპატიმრა.

მთელს მაზრაში, ნამეტნავად ცხინვალის მხარეს, დიდი ხანია გადავარდა „სუდი“, მამასახლისი და მისი მწერალი. ყოველ საზოგადოებას და ცალკე სოფელს არჩეული ჰყავს ასის-თავები და საქმეს ესენი განაგებენ. ცხინვალის სასამართლოს მსაჯული, მისი ბოქაული და სხვა ხელ-ქვეითები გულხელ დაკრებილნი სხედან და არაფერი საქმე არა აქვთ გასაკეთებელი, ჯამაგირს-კი ყოველ თვის ოცში გორის ხაზინიდან იღებენ. ადმინისტრაციამ ახალი განკარგულება მოახდინა და ბძანება გასცა, რომ ძველებურად ყოველ სოფლის საზოგადოებამ აარჩიოს მამასახლისები და საქმე ძველებურად განაგოს. ბევრ სოფლის საზოგადოებაში იძულებულნი იყვნენ მამასახლისები აერჩიათ. ასე მოხდა, მაგალითად, შინდისს: აარჩიევინეს მამასახლისი და მოაწვევინეს მწერალი. ჯამაგირი დაანიშნინეს თვეში ექვსი თუმანი. ხალხმა ამაზედ ყაყანი გამართა, პროტესტი გამოაცხადა, მაგრამ მაშინვე სამოცი ყაზახი ეკზეკუციად ჩააყენეს. ამ ყაზახებზედ სოფელი მუდამ დღე ხარჯავს ნაღდ ფულს ექვს თუმან ნახევარს. ეკზეკუცია სდგას ცხინვალსა, ქვიშხეთსა, ტირძნისსა, ახალ-ქალაქსა, კასპსა, სადგ. გომსა, საფალავანდიშვილოში და სხვა და სხ.

ამ აღწერით მკითხველი გაიგებს, რა ცუდ მდგომარეობაშია ხალხი მთელ გორის მაზრაში. ეს კიდევ არაფერია, რომ ქურდობა, გაძარცვა, უმიზეზოდ კაცის კვლა და სხვა ამგვარი ბოროტ-მოქმედება არ გავრცელებულიყოს. ყველა ამას აწერენ იმ პირთ, რომელნიც საზოგადოებას გამოსწყდნენ და გზას გადაუხვიეს. მკითხველებს ეხსომებათ, რომ სოფელ ნიქოზში გაძარცვეს ადგილობრივი მემამულე თავ. ზაქარია ფავლენიშვილი. გაძარცვას ვინა ჩივის: ფავლენიშვილი თავის ცოლით რომ სიმინდებში არ დამალულიყო, არც ერთი ამ ქვეყნად აღარ იქნებოდა. სოფელ ქობესაანთ-კარის გლეხი ტატო ქობესაშვილი რამდენიმე წელიწადი რკინის გზაზედ მუშაობდა. ეს კაცი, მუშაობის დროს, რკინის გზამ დააზიანა. გამართა საჩივარი და ამ დღეებში 1,500 მანეთი გადაახდევინა გზას. ამბავი, რასაკვირველია, ბევრმა გაიგო, ან-კი რა დაემალება ადამიანის ყურს! 7 ამ თვეს, სადამოზედ, ექვსი შეიარაღებული კაცი მიადგა ტატო ქობესაშვილის სახლს. ტატო შინ არ იყო, ქალაქში წასულიყო და ფული თან წაეღო საქმის საწარმოებლად. შინ იყო მხოლოდ ერთი დედაკაცი, მისი რძალი. ყაჩაღები ჩასციებიან ამ დედაკაცს, უნდა გვიჩვენო, სად არის ფულიო. დედაკაცს შეუფიცნია, ტატომ ფული მთლად ქალაქში წაიღოვო. ფიცი არ შეიწყნარეს, შეცვივდნენ სახლში, სულ მიანგრ-მოანგრიეს, გაჩხრიკ-გამოჩხრიკეს, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა. გულმოსულები გარედ გავიდნენ, დედაკაცს ბერდანა დაახალეს, იქვე მიაწვინეს და არხეინად, ვითომ აქ არაფერიაო, გზას გაუდგნენ. დღესაც არავინ იცის ვინ იყვნენ. საზოგადოდ, გორის მაზრაში ცხოვრება ძალიან გაჭირდა: თუ არა გაქვს-რა, მშიერი მოკვდები და თუ გაქვს—სიკვდილს უნდა მოელოდე.

ამ მდგომარეობაშია გორის მაზრის ყველა მცხოვრები. არ იციან, როგორ მოიქცნენ.

გამოცხადებული იყო: მაზრის მარშალი გორში იწვევს ხალხს ერობის შემოღების თაობაზედაო ხალხმა სთქვა: რა დროს ერობაა, ჯერ მშვიდობიანობა ჩამოაგდეთ და მერე ილაპარაკეთ ერობაზედაო. ამ მოწვევაზე არავინ გამოცხადებულა და დღესაც არ ამოურჩევიათ კაცები, რომ მონაწილეობა მიიღონ საერობო თათბირში.

რაც შეეხება მოსავალს, წელს ძალიან კარგი ჰირნახული მოვიდა, მაგრამ ეს მოსავალი ვერც გლეხმა გამოიყენა და ვერც მემამულემ, ზოგს მოუმკალი დარჩა, ზოგს მინდორში დარჩა და ვინც სახლში მიიტანა, ის სულ დავიდარაბას და „ერთობას“ მოანდომა.

სოფლის სკოლები ზოგი გაიხსნა და ზოგი არა. ისეა საქმე, რომ სკოლების გახსნა თითქმის მასწავლებლებზეა დამოკიდებული: ვინც მოინდომა, დააწყებინა სწავლა, ვინც არა—სკოლა ისევ დაკეტილია.

არც მღვდლების მდგომარეობაა სანუგეშო. რაც „ერთობა“ შემოვიდა, დრამა არ აუკრებიათ და ხმაც ვერ ამოუღიათ შიშით. ხალხს ეუბნებიან, ოღონდა ხელს ნუ გვახლებთ და თქვენი არა გვინდა-რა: როგორც იქნება, იოლად წავალთო.

ამ წერილს აღარ გავაჭიანურებ და დავამთავრებ იმით, თუ რას თხოულობს „ერთობა“:

1. გასწორდეს თავადი, გლეხი და აზნაური.
2. გასწორდეს ქალი და კაცი.
3. გასწორდეს უფროსი და უმცროსი.
4. „ზავტრა“ აღარ იყოს.
5. მუქთა მჭამელი აღარ იყოს.
6. თვით-მართველობა დაწესდეს.

მერანი.

✦ ტფ. **თავად-აზნაურთა გიმნაზიის** პედაგოგთა კორპორაციის შუამდგომლობა აღუძრავს, ნება მიეცეს გამოსცეს ქართულ ენაზედ ყოველ კვირეული გაზეთი.

✦ 11 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზედ, მუხრანის ქუჩაზე **მოჰკლეს თავ. მუხრანსკის სახლის მოურავი ქალი** დუნდოევისა. მკვლელები მიიმალნენ. ეჭვით დააპატიმრეს ამ სახლის მეეზოვედ ნამყოფი და მლებავი ბუხრაძე.

✦ ტფ. მაზრიდან წელს **სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეულია** 800 კაცი. აქედან ჯარში უნდა გაიყვანონ 288 კაცი. კენჭის ამოსალებად მაზრა სამს რაიონად არის გაყოფილი. პირველს რაიონში კენჭს ამოიღებენ სოფელ ასურეთს 15 ოქტომბრიდან, მეორე რაიონში —სოფ. მარიენფელდს 25 ოქტომბრიდან, ხოლო ტფილისში 2 ნოემბრიდან.

✦ ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭომ ამ სასწავლებლის **ინსპექტორად ერთხმად აარჩია** ქუთაისის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მღვდელი ღვთის მეტყველების კანდიდატი კირ. კეკელიძე. საბჭომ თავისი დადგენილება გაგზავნა, სადაც ჯერ არს, დასამტკიცებლად.

✦ ტფ. ქალაქის ხორცის დუქნების ანგარიშების შესწორება გაჭირდა. როგორც ეხლა ირკვევა, ბევრი საბუთის ქაღალდები არსად სჩანს, **გაფლანგულია 1200 მან.** აგრეთვე არსად სჩანს ერთის მოხელისაგან წაღებული 900 მან. და მეორისაგან 300 მ. გამგეობამ წინადადება მისცა კომისიას ანგარიშები გადაათვალიეროს და მოხსენება წარუდგინოს.

✦ დუშეთის მაზრის სოფ. არღუნს და ქაისხევში ვიღაც კაცებს **სახელმწიფო თოფები წაურთმევიათ** ორ ტყის მცველისთვის და ახლო-მახლო სოფლებშიაც იარაღი მოუგროვებიათ.

✦ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ სამასი თუმანი გადასდო **ნაძალადევის ეკკლესიის დასამთავრებლად.**

✦ **სოფელს ალში შეუპყრიათ** 9 კაცი. აქედან ერთი მასწავლებელია, გვარად დ. ხახანაშვილი.

✦ 10 ოქტომბრიდან უკვე დაიწყო მუშაობა **ავლაბარსა და ნავთლუხში ელექტრონის ტრამვაის გასაყვანად.** ამ ჟამად მუშაობა ციციანოვის აღმართსა და კახეთის მოედანზეა. განზრახულია, მუშაობა დეკემბრის დამლევამდე გაათავონ.

✦ როგორც ოფიციალურ ცნობიდანა სჩანს, სიღნაღის მაზრის ველისციხის, ახაშენის, ჩუმლაყის, გურჯაანის, ვეჯინის, კოლაკის, ბაკურციხის, კარდანახის, ნოვომიხაილოვის და ლაგოდეხის სოფლების საზოგადოებებს **სასოფლო სამეურნეო თანხა** ხაზინაში ჰქონიათ ნაღდ ფულად 9,212 მანეთი და სარგებლიან ქაღალდებით 40,800 მანეთი. წელს არც ერთ აღნიშნულ საზოგადოებას სასოფლო-სამეურნეო თანხიდან სესხი არ მიუღია.

✦ კიდევ აღმოჩნდა სასინოდო **ხაზინადრის მიერ გაფლანგული ფული.** დავთრებში არსად არ აღმოჩნდა შეტანილი ხუთასი თუმანი, რომელიც ნ. პეტროვის ქალს ბოდბის, თეკლათის და ჯიხეთის მონასტრებისთვის შეუწირავს.

✦ ამ დღეებში **ბათუმში მოელიან საზღვაო მინისტრს** ადმირალ ბირილევს.

✦ 12 ოქტომბერს ბათუმში მისულა გემი „ნოვოროსისკი“. ამ გემით, „ჩ. ვ.“ სიტყვით, შიდა რუსეთიდან მოუყვანიათ 12 **პოლიტიკური დამნაშავე,** რომელნიც ადგილობრივ სატუსაღოში მოუთავსებიათ.

✦ 20 ნოემბერს მოხდება ტფ. **სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება.** რამდენიმე რწმუნებულმა განცხადება შეიტანა კრებისთვის გადასაცემად. ეს რწმუნებულნი წინადადებას აძლევენ კრებას, დააკანონოს, რომ ამიერიდან გამგეობის თავმჯდომარე კრებამ-კი არა, თვით გამგეობამ აარჩიოს ხოლმე თავის წრიდან.

✦ ტფ. დედათა პირველ გიმნაზიის დირექტორი 11 ოქტომბერს წერილობით შეეკითხა **მოსწავლეთა მშობლებს,** გვაცნობეთ, საპედაგოგიო საბჭოსთან ერთად რა საკითხების განხილვა მიგაჩნიათ საჭიროდაო.

✦ ტფ. **სათავად-აზნაურო გიმნაზია იწვევს** მუდმივ ექიმს. ამ ექიმს წელიწადში ორასი თუმანი ექნება.

ოფიციალური განცხადება სახალხო კრებების შესახებ

ტფილისის ქალაქისა და ტფილისის მაზრის დროებითი გენარალ-გუბერნატორი გენ.-ლეიტ. ქილიაი ოფიციალურად აცხადებს:

„ჩემის წინამოადგილის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა მე-10 მუხლი, რომელიც შედგენილია თანახმად საგუბერნიო დაწესებულებათა მე-23 მუხ. დამატებ. მე-11 პუნქტისა (კანონთა კრებ. II ტ.), ამბობს:

„კანონით ნება დართული სხდომები ყველა საზოგადო დაწესებულებებსა და საზოგადოებებში უნდა მოხდეს ხოლმე გარეშე პირთა დაუსწრებლად და იმ პროგრამების მიხედვით, რომელთაც წინდაწინ განიხილავს გენ.-გუბერნატორი. საზოგადო კრებათა და დაწესებულებათა თავმჯდომარენი, რომელნიც საჯარო სხდომებს მოახდენენ ან ისეთ საკითხს განიხილავენ რომელიც დამტკიცებულ პროგრამებში არ იქნება, პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი ხსენებულ დადგენილებათა 15 მუხლის ძალით“.

მოვაგონებ-რა ყველას ამ დადგენილებას, ვაცხადებ: 1) იმ საზოგადო დაწესებულებათა და საზოგადოებათა თავმჯდომარენი, რომელთაც დამტკიცებული წესდება აქვთ, ვალდებულნი არიან კრების ნებართვა ჩემგან გამოითხოვონ და თანაც წარმომიდგინონ კრების განსახილველი საგნები. 2) კერძო პირებმა ან საზოგადოებათ, რომელთაც არავითარი წესდება არა აქვთ, თუ ჰსურთ რაიმე საზოგადო საკითხების შესახებ თათბირის გამართვა, აგრეთვე უნდა გამოითხოვონ ჩემგან ნებართვა და თანაც აღნიშნონ ადგილი, დრო და პროგრამმა კრებისა. ასეთს კრებებს უთუოდ პოლიციის მოხელე დაესწრება. თუ კრების პროგრამმა ან წესიერება დარღვეულ იქნა, პოლიციის მოხელე მაშინვე დახურავს მას, ხოლო თავმჯდომარენი და დამსწრენი კანონის თანახმად იქნებიან დასჯილნი.

მოხსენებულის აღსრულება შემაძლებინებს შესაფერის ღონისძიების მიღებას და საზოგადოებასაც უზრუნველჰყოფს არა სასურველ ინციდენტებისაგან. ვაფრთხილებ ამასთანავე ყველას, რომ ამიერიდან მე-10 პუნქტის დამრღვევი სასტიკად იქნება დასჯილი. 11 ოქტომბერი, ქ. ტფილისი“.

✦ ახალქალაქის მაზრის სოფელ კულალის მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ, დაუბრუნდეთ ის 100 დესეტინა სანადელო მიწა, რომელიც მემამულეებმა ჩამოართვეს, და აგრეთვე ის 550 დესეტინა სახნავ-სათესი და საბალახო, რომელიც სახელმწიფო მამულების მიწის-მზომელს ვაზიანის და კანდურიანცების გლეხებისთვის მიუზომავს.

✦ გუშინ, 12 ოქტომბერს, ტფ. ოლქის სასამართლოს სესიის სხდომები დაიწყო ქ. გორში.

✦ დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდან ბოქაულები: ცხინვალისა—ამათუნი და ბორჯომისა—აბულოვი.

✦ 11 ოქტომბერს ტფ. ოლქის მასამართლომ განიხილა საქმე პოლიციის უბნის ზედამხედველის მიხეილ ალიმოვისა, რომელსაც მიწის მზომლის სოლოვიოვის მეუღლის მოქმედებით შეურაცხება ჰბრალდებოდა. სასამართლომ დამნაშავედ იცნო ალიმოვი და ორის თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

✦ ტფ. მოქალაქეთა რწმუნებულების კრება 13 ოქტომბერს კი არა, 18 ოქტომბრისათვის არის დანიშნული.

პატარა ფელეტონი

მონოლოგები გურულების ცხოვრებიდან.

II

არსენ მამასახლისი.

— ოი! ასე გაგიკეთდა თქვენ ოჯახი, რაგვარც ახლა არის გაკეთებული თქვენი საქმე... ჩემს გამოზდაში, აგერ მოწიფული კაცი შევიქენი, და ამისანა დროი არ მინახავს... აგერ ერთი წელიწადი გადის და ერთი გროში არ დამინახავს... ვერაფერი შვილია სწორეთ ახლა მამასახლისობა. გაპრუსტიაკდა სულ მთლად... ამიზა მევინდერიე, მე უბედურმა, ქალა და ეწერი! ამიზა ვაკალი თავი!.. აი, დალახვროს წმ. ბასილეს მადლმა მაგიზა თავი და სახსენებელი... ახალი წეს-რიგი, მშვიდობიანობა... ერთობა.. და დღე არ გავა ისე, რომ ვინმე „პატიოსანი აზნაურიშვილი“, ასე უძახიან და მე რა ვიცი, არ ჩაგიჯდეს გზაში და არ წაგართვას, რაც გაბადია... თუ ვინმეს შესჩივლე, ასე გეტყვის:—ეს ხულიგანები და ხუნხუზებიაო. . გახშირდა: ძარცვა, გლეჯა წეწვა და ქურდობა... აგია ერთობა?.. ერთობა უწოიყო: ჩამოშიარდა ოზურგეთიდან პრისტავი, მიახლებდა – ვეახლებოდი, მიგვიწვევდნენ, ვეწვევოდით... ან კიდევ აღიონზე ჩამომირბენდა აქციზები... ჩუმად, ნელა და ფარულად წავადგებოდით ზაოდს... შეიქნებოდა ერთი უბედურება: ცემა, ტუეპა, მეგორდიე, პროტოკოლი... საღამოს კი, მშვენიერ სუფრას უჯექით და შინ მისვლისას თულიც მქონდა..- ცივად დედალი, შემწვარი ინდოური, ნადუღარი და გადაზელილი. ეს იყო სოფლის სული... ახლა, ახლა ქევარ, აგერ ერთი წელიწადია და... უფშტვენ კოდარას...

— რა გინდა, ყაძახო, ამ ოალონზე? რამ მოგიტანა!—შესძახა არსენმა კანცელარიასთან მოსულ გლეხს.

— შენი სიცოცხლე და დღეგრძელობა!..

— როგა! ამიზა მოი ღორის გამოშობამდი!..

— გაჭივრება, მამასახლისო, თვარა ახლა კაცი მოვა აქანაი... დევიღუპე... დამექცა ოჯახი... აწი რაღა ჩემი სიცოცხლე...

— ო და რა იყო?

— რა იყო და გუშინ რომ ჩოხიანი რუსები ჩამოვიდა... ქე დამიკლეს უღლის ხარი, ქე გამოჭრეს ყელი...

— მერე მე რა! ჩემთან ხომ არ მოუტანიათ, რომ მოგიწონო არჩივი!..

— კი მარა **ბატონო** მამასახლისო...

— არა, ახლა ვარ ბატონი... მაგი რაა, მოიცა ცოტა, მაშინ ნახავ სიცოცხლეს, როცა ჩამოგიყენებენ სათითაოდ...

— ჩამოგვიყენებენ რავა, ღმერთი... სამართალი...

— ღმერთი თვარა შენდა სცალია... ახლა გინდა სამართალი.. დაჩუმდი და მოიკაკვე... „თუ რომ შეცდი, კირილეო, დაჩუმდი და იტირეო!...

— რავა დავჩუმდე, ოჯახი დამიქციეს, მარჩენალი ხარი დამიკლეს და კიდო დავჩუმდე!...

— არ მოგწონს ჩემი სამართალი, არა!.. აწი წადი და შესჩივლე შენს კამიტეტს... რად გვინდა მამასახლისიო... ხომ არ გინდათ... აბა აწი უყარე კაკალი.

ვ. ურუშაძე.

თეატრი და მუსიკა

შემთხვევით მოხდა თუ ძალა-უნებურად, სახალხო თეატრი დღემდის თითქმის ერთად ერთი დაწესებულება იყო, რომელსაც პირდაპირ ხალხთან ეჭირა საქმე: უშუამავლოდ და უმოციქულოდ ის პირდაპირ ხალხთან მიდიოდა და გზას უკაფავდა გათვითცნობიერების საქმეს. თუმცა ყოველს ნაბიჯს ამ ეკლით მოსილ გზაზე სასტიკი კარანტინი ხვდებოდა სხვა და სხვა ცხად, თუ ფარულ კანონიერ დაყენებულ თუ თავის ნებით დამდგარ აგენტებისა, მაგრამ ის ინიციატივის ნასახიც, რომელიც ხალხს,თეატრს ჰქონდა შერჩენილი, ხალხის გათვითცნობიერების საქმეს ხელს უწყობდა და მცირე მალამოს მაინც ადებდა ჭრილობას. ამ მრხივ სახალხო თეატრის ქართულ სექციის და სცენის მოყვარეთ თვალ-საჩინო ღვაწლი მიუძღვის იმ დიდ საქმეში, რომელსაც ხალხის განათლებას ეძახიან. მან თავის მოღვაწეობით დაჰბადა საზოგადოებრივი ძალა და ამ ძალაზე ააშენა მომავალი ბედი სახალხო თეატრისა. ეს ძალაა, ერთის მხრივ, გულ-წრფელი, უანგაროთ მოღვაწე საქმის და სცენის მოყვარულ ინტელიგენტთა და მუშისა და მეორეს მხრივ —გატაცებული და გათვით-ცნობიერებული აუდიტორია წარმოდგენებზე მოსიარულე ხალხისა. ეს ორი ძალა, ერთმანეთის ნდობითა და პატივისცემით შეკავშირებული, თავმდებია იმისა, რომ სახალხო თეატრი მომავალში უფრო კარგად შეასრულებს თავის დანიშნულებას, უფრო მეტს თავისუფალს, კეთილშობილს და მებრძოლ წევრს აღუზრდის საზოგადოებას.

ამ სეზონში სახალხო თეატრის გამგეობამ უკვე მესამე წარმოდგენა გამართა. შაბათს, 8 მარტს, ავჭალის ქუჩის თეატრში წარმოადგინეს „ცხოვრების გარეშე“, პროტოპოპოვის პიესა. წარმოდგენამ, საზოგადოდ გვარიანად ჩაიარა. რამდენადაც ტატარცევი (ბ-ნი დადიანი), ოსიპი (ბ-ნი ნ. გოცირიძე) კარგები იყვნენ, იმდენად სუსტები იყვნენ ჟავორონკოვისა (ქ-ნ ბაკულაშვილი), სერგეევი (ბ-ნ ბერიშვილი), გვოზდიოვი (ქ-ნ კ. თაქთაქიშვილი), მეტადრე უკანასკნელი, რომელიც როლის ცოდნაში ძლიერ კოჭლობდა. დანარჩენებში აღსანიშნავია დუნიას როლის ამსრულებელი ქ-ნი იმედი, რომელიც მართლა იმედს იძლევა, რომ თავის დროზე კარგი და საჭირო ძალა შეიქმნება სცენისათვის, თუ, რასაკვირველია, მეცადინეობას არ დააკლებს. ა. მჭედლიშვილს (იური) თავი სცენაზე ძლიერ თავისუფლად ეჭირა, სამაგიეროდ, არ იცოდა, სად წაეღო ხელები, რაც შთაბეჭდილებას ხელს უშლიდა. ქ-ნმა ქიქოძემ როლი კარგად იცოდა, თავი სცენაზე თავისუფლადაც ეჭირა და გულწრფელადაც ამბობდა თავის როლს, მაგრამ ამ ყმაწვილ ქალის სახეს მიმიკა აკლდა და ლაპარაკითაც სულ ერთ კილოზე ლაპარაკობდა. ორი მეგობარი ელენე (ქ-ნი მ. ყანჩელი) და ნატალია (ა. ივანიშვილი) ერთმანერთს არა ჰგავნდნენ; რამდენადაც პირველი მორცხვობდა და ღელავდა, იმდენად მეორეს თამამად ეჭირა თავი. აგლაიას (თ. ჩიჯავაძე) სიცოცხლე აკლდა, რაც, პირიქით, არ ითქმის იაკობზე (ბ-ნი ურუშაძე), რომელიც ამ მხრივ ხშირად აჭარბებდა კიდეც.

უცხო

—

დღეს სახაზინო თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენლი იქნება პირველად სტრინდბერგის პიესა „მამა“ და ვოდევილი „ბებრის საღერღელი“.

სამ მოქმედებიანი ტრაგედია „მამა“ მეტად საინტერესო პიესაა; ამ დრამამ მოიარა თითქმის ყველა სცენა და რუსეთშიაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. პიესაში აწერილია შეუბრალებელი, სასტიკი და ულმობელი ბრძოლა ქმრისა და ცოლის შორის მათის ერთად ერთის შვილის თაობაზე. ცოლ-ქმარი ეძიებს თვითეული კერძოდ თავის უპირატესობას და უფლებას შვილის აღზრდის საქმეში და ამ უფლებისა და უპირატესობის მოპოებაში ერთმანეთს არა ზოგავენ... პიესა მეტა საინტერესოა. მთავარ როლს ასრულებს ი. ალექსი-მესხიშვილი. საზდგადოდ დღევანდელ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ჩვენი საუკეთესო მსახიობნი ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ბ-ნი აბაშიძე, ყიფიანი და სხვანი.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა კრება

3 ოქტომბერი

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, წესდების მე-29 არაგრაფის [illegible] საზღვროს კრების მიერ, თუ რამდენი ფულის შენახვა შეუძლია საბჭოს კერძო საკრედიტო დაწესებულებებში.

კრებამ, თანახმად ბ-ნ აბაშიძის წინადადებისა, დაადგინა: ნება მიეცეს საბჭოს შეინახოს კერძო საკრედიტო დაწესებულებაში კრების თავისუფალ ფულის 9/10 ნაწილი. ამასთანავე კრებამ ნება დართო საბჭოს, რომ ხსენებული ფული თავის შეხედულებით შეიტანოს შესანახავად იმ კერძო ბანკში, სადაც უმჯობესადა სცნობს.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა სამთო დეპარტამენტისაგან მოსული დეპეშა. დეპარტამენტი ატყობინებს კრებას, სამინისტრომ არ შეიწყნარა თქვენი შუამდგომლობა შესახებ იმისა, რომ კრებაზე მსჯელობა ქართულ ენაზე ყოფილიყო. ამ სამწუხარო ამბავმა ძლიერ დააღონა კრება, თუმცა თავიდანვე უნდა სცოდნოდა, რომ ასეთ პასუხს მიიღებდა სამინისტროსაგან; კრების თავმჯდომარე ბ-ნი ჩენგერი თავის დეპეშაში პირდაპირ პირობას უდებდა სამინისტროს, თუ კრების შუამდგომლობა შეიწყნარეთ, მე თავმჯდომარეობას აღარ ვიკისრებო. ასეთ შუამდგომლობის შემდეგ არც-კი შეიძლებოდა სხვა პასუხი მიგვეღო, კანსაკუთრებით აღაშფოთა ამგვარმა პასუხმა ბ-ნი კაკაბაძე, რომელმაც წინადადება მისცა კრებას, ეხლა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე აღვძრათ შუამდგომლობა; იქმნება, იმან მაინც შეიწყნაროს ჩვენი სამართლიანი თხოვნაო. თავმჯდომარემ თავისი უფლება აქაც გამოიყენა და წარბშეუხრელად განაცხადა: მე წინააღმდეგი არა ვარ დეპეშის გაგზავნისა, მაგრამ დეპეშაში უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამგვარი შუამდგომლობა აღძრული იყო სამინისტროს წინაშეც, რომელმაც ის უყურადღებოდ დასტოვაო.

ი. გ. აბაშიძემ განაცხადა, კრებას არ შეუძლია დიდი მწუხარება არ განაცხადოს იმის გამო, რომ სამინისტრომ უყურადღებოდ დასტოვა ჩვენი კანონიერი თხოვნაო. თავმჯდომარემ გააჩერა და განაცხადა, ამ საკითხის შესახებ ყოველგვარ კამათს ვსპობო. გ. ფ. ზდანოვიჩი სთხოვს თავმჯდომარეს მხოლოდ ორიოდე სიტყვის ნებას. უკანასკნელი უარს ეუბნება. ბ-ნი ზდანოვიჩი თხოულობს შეტანილ იქმნას ოქმში, რომ თავმჯდომარემ სიტყვის ნება ირ მისცა, თუმცა მან არ იცოდა, რა უნდა მეთქვაო.

თავმჯდომარის ასეთმა საქციელმა საზოგადოებაში ხმაურობა და უკმაყოფილება გამოიწვია. თავმჯდომარემ შესწყვიტა სხდომა.

როდესაც ყველაფერი მიწყნარდა, თავმჯდომარემ განაახლა სხდომა და წინადადება მისცა კრებას, მოესმინა საბჭოს მიერ შეკრებილი სტატისტიკური ცნობები შესახებ მადნების დამუშავებისა, რკინის გზის სადგურებზე დაწყობილ შავი-ქვის რაოდენობის და აგრეთვე ცნობები ჭიათურის რკინის გზის შტოზე არსებულ მადნეულის გადასაზიდ საშუალებათა და ბაქანთა შესახებ.

გ. ფ. ზდანოვიჩმა მოახსენა კრებას, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთს ენაზედ ასეთს უნაკლულო სტატისტიკურ ცნობებს ვერ ნახავთ ხსენებულ საგნების შესახებ, როგორიც ჩვენი ცნობებია, კავკასიის სამთო განყოფილების უფროსმა მაინც დაიწუნა ჩვენი შრომა და აღნიშნა, ხეირიანად შედგენილ სტატისტიკურ ცნობების უქონლობა ერთი უსუსტესი მხარეა საბჭოს მოქმედებისა. მე არ ვამბობ, რომ ჩვენს ცნობებს არავითარი ნაკლი არა აქვს, მაგრამ საშუალების უქონლობისა გამო ჯერ-ჯერობით მეტი ვერ შევსძელით. მომავალი საბჭო კი ეცდება ეს ნაკლულევანებაც შეავსოსო.

კ. ს. მოდებაძე ეთანხმება ბ-ნს ზდანოვიჩს, რომ საბჭოს მიერ შედგენილ სტატისტიკურ ცნობებში ბევრი საინტერესო მასალაა შეტანილი, მაგრამ ეს მასალები ოფიციალურ წყაროებიდანაა ამოღებული; ბევრად უმჯობესი იქმნებოდა, რომ ეს ცნობები ადგილობრივ შეკრებილიყო.

კრებამ დაავალი საბჭოს შემდეგისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სტატისტიკურ ცნობებს მუშების შესახებ.

თავმჯდომარემ წამოაყენა განსახილველად კითხვა გეგმის გადამღებ ბიუროს ორგანიზაციის შესახებ. აღიძრა კითხვა იმის შესახებ, თუ ვის უნდა დაეკისროს ბიუროს შენახვა, მრეწველთა კრებას თუ საბჭოს. კრებამ მოისურვა ხსენებულ კითხვის დახურულ კენჭის ყრით გადაწყვეტა, მაგრამ, რადგან ამომრჩეველთა ხმები ჯერ კიდევ შემოწმებელი იყო, ამისათვის კენჭის ყრა გადასდო.

თავმჯდომარის წინადადებით შეუდგნენ პროგრამის მეხუთე მუხლის განხილვას, რომელიც შეეხება ჭიათურის „პოსადად“ გადაკეთებას და შემოკლებულ თვითმმართველობის შემოღებას.

ი. გ. აბაშიძემ მოახსენა კრებას, მოკლე ხანში ჩვენში, როგორც ვიცით, უნდა შემოღებულ იქმნეს საერობო დაწესებულებათა ინსტიტუტი; ამიტომ, ჩემის ფიქრით, საჭირო არაა შუამდგომლობის აღძვრა ჭიათურის „პოსადად“ გადაკეთების შესახებ, რადგან ერობის შემოღების დროს ჭიათურას მიენიჭება თვითმმართველობა; და თუ ჩვენში ერობა არ იქმნა შემოღებული, მაშინ არც ჩვენს შუამდგომლობას შეიწყნარებენო.

კრებამ, თანახმად ბ-ნ აბაშიძის წინადადებისა, საჭიროდ აღარ სცნო შუამდგომლობის აღძვრა ჭიათურის „პოსადად“ გადაკეთების შესახებ.

წამოყენებულ იქმნა გასარჩევად პროგრამის მეექვსე მუხლი, რომელიც შეეხება რკინის გზაზე შავიქვის გადაზიდვის საქმის გაუმჯობესებას და სხვა და სხვა სარკინისგზო და სანავთსადგურო საკითხებს. ბ-ნ ზდანოვიჩის წინადადებით ხსენებული კითხვა გადაეცა განსახილველად და თავის დასკვნის წარმოსადგენად საგანგებო კომისიას. ამ კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ვაგონებისა და ბაქნების გამწესრიგებელი კომიტეტი.

4 ოქტომბერი.

ამ დღეს კრების პირველი განსახილველი საგანი იყო ჭიათურაში ახალ სამრეწველო გზების გაყვანა და ძველ გზების შეკეთება. ამ საგნის შესახებ წაიკითხა თავისი მოხსენება საბჭოს წევრმა ი. ბ. ნიჟარაძემ. კრებამ, წარსული წლების მსგავსად, საჭიროდა სცნო კომისიის არჩევა.

შემდეგი საკითხი შეეხებოდა ჭიათურის მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლის შესახებაც ი. გ. აბაშიძემ წაიკითხა საბჭოს წევრის ბ-ნ ცერცვაძის მოხსენება (თვითონ ცერცვაძე არ იყო კრებაზე).

ი. გ. ბელიაშვილმა წინადადება მისცა კრებას, აღიძრას შუამდგომლობა, რომ მუშების წარმომადგენელთ ნება მიეცეთ დაესწრონ მრეწველთა კრებებს. ეს წინადადება ერთხმად მიღებულ იქმნა.

გ. ფ. ზდანოვიჩმა გააცნო კრებას ფოთელ მუშების თხოვნა შესახებ იმისა, რომ მრეწველთა კრებას აეშენებია მათთვის ფოთში აბანო, საავადმყოფო და ოცდა ოთხ ოთახიანი სადგომი სახლი.

ცოტა ხნით სხდომის შეწყვეტის შემდეგ, ი. გ. აბაშიძის წინადადებით, კრებამ ფეხზე წამოდგომით პატივი სცა გარდაცვალებულის ტრუბეცკოის ხსოვნას და დაადგინა, გაუგზავნოს სამძიმრის დეპეშები განსვენებულის მეუღლესა და მოსკოვის უნივერსიტეტს. ბ-ნს აბაშიძეს სურდა მოკლედ დაეხასიათებინა გარდაცვალებულის საზოგადო მოღვაწეობა, მაგრამ თავმჯდომარემ შეაწყვეტინა ლაპარაკი.

შემდეგ კრებამ 27 ხმის უმეტესობით 7-ის წინააღმდეგ დაადგინა, კრების ხარჯით ააშენოს ჭიათურაში ერთი ღამის გასათევი სახლი 100 მუშისათვის. ამასთანავე დადგენილ იქმნა, ჭიათურში გაიხსნას მუშებისათვის ერთი იაფი სასადილო მრეწველთა კრების ხარჯით.

ბ-ნმა მოდებაძემ საჭიროდ დაინახა, სასადილოებში ვახშამიც მზადდებოდეს მუშებისათვის. კრების უმეტესობა დაეთანხმა ამ აზრს, მაგრამ მისი საბოლოოდ გადაწყვეტა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდის გადასდო. გარდა ამისა, დადგენილ იქმნა: მრეწველთა კრების საშუალებით აშენდეს მადნებში მუშების საცხოვრებელი სახლები: ამ სახლების აშენებაზე გაწერილი ხარჯები შემდეგში მრეწველებისაგან საბჭოს უკანვე უნდა დაუბრუნდეს. სახლები უნდა გაქირავდეს, მაგრამ ქირა არ უნდა აღემატებოდეს მათზე გაწერილ ხარჯების 5%-ს. სახლების ასაშენებლად საჭირო ადგილების არჩევა კრებამ ეგრეთწოდებულ „საგზო კომისიას“ მიანდო. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა, აშენდეს სოფლებში მუშებისათვის რამდენიმე აბანო. აბანოებისათვის ადგილების ამორჩევა კრებამ საგზაო კომისიას მიანდო. იმის გადაწყვეტა კი, თუ რამდენი აბანო გაკეთდეს, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდის გადაიდო.

ბოლოს წაკითხულ იქმნა სამთო დეპარტამენტის საპასუხო დეპეშა, რომელიც აუწყებს კრებას, სამინისტრომ შეიწყნარა თქვენი შუამდგომლობა და ნება დაგრთოთ მსჯელობა იქონიოთ საფუთო გადასახადის მომატების შესახებო. სხდომა შემდეგი დღისათვის გადაიდო.

სასამართლო

ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის მოკვლის საქმე.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

(დასასრული)

ნაფიცმა ვექილმა ბაიკოვმა ორ საათამდე ილაპარაკა და ამტკიცებდა, ბრალდებულნი გუბერნატორის მოკვლის დროს იქ არ ყოფილან, სადაც მკვლელობა მოხდაო. ბრალმდებლის მოწმენი ქერბალაი და ალალი, მართალს არ ამბობენ, სტყუიან, რადგან სომხებსა და თათრებს შორის გამწვავებული ურთიერთობააო. შემდეგ ვექილმა აღნიშნა, არაფრით დამტკიცებული არ არის, რომ იმ დღეს გუბერნატორს განძრახვა ჰქონოდეს ვრანგულის ქუჩაზე გაეარა ეტლით, ბრალდებულთ მაინც არ სცოდნიათ ასეთი განზრახვა და რა დასაჯერებელია, რომ ისინი კუზნარევის მაღაზიაში იყვნენ და გუბერნატორის ეტლს ელოდნენო.

ვექილის ბაიკოვის სიტყვის შემდეგ სასამართლოს სხდომა გადაიდო პირველ ოქტომბრისთვის. ბრალმდებელს და დამცველებს ერთი-ერთმანეთის საპასუხოთ სიტყვა ირ წარმოუთქვამთ. თავმჯდომარემ უკანასკნელი სიტყვა მისცა ბრალდებულთ, რომელთაც განაცხადეს, ვიმეორებთ, დამნაშავე არა ვართ და არც იმ ადგილას ვყოფილვართ, სადაც მკვლელობა მოხდაო. 9 საათი და 45 წუთი იყო, როდესაც მოსამართლეები შეუდგნენ თათბირს განაჩენის დადგენის შესახებ. განაჩენი გამოაცხადეს 4 საათსა და 45 წუთზე: ხუთივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო სასამართლომ და გადაუწყვიტა ჩამოხრჩობით დასჯა.

ვექილმა ზარუდნიმ, განაჩენის წაკითხვის შემდეგ, განაცხადა: გთხოვთ, ოქმში შეიტანოთ, რომ ბრალდებულნი უფლებას გვაძლევენ ჩვენ საკასაციო საჩივარი შემოვიტანოთ სასამართლოს გადაწყვეტილებაში და შემდეგში წარმოვადგინოთ ეს საქმე, სადაც საჭირო იქნება.

თავმჯდომარემ ვექილის თხოვნა დააკმაყოფილა. შემდეგ ვექილმა ზარუდნიმ ითხოვა, ოქმში შეტანილ ყოფილიყო აგრეთვე ის, რომ სასამართლომ არ შეიწყნარა დამცველების თხოვნა იმ ადგილის დათვალიერების შესახებ, სად ც მკვლელობა მოხდა, და ამასთან ერთმა მოსამართლეთაგანმა სთქვა, ადგილი უკვე ვნახეთო. თავმჯდომარემ უპასუხა: „იგიც შეიტანება ოქმში. მე მაშინ ვთქვი, საქმისთვის არაფერი მნიშვნელობა არ შეიძლება მიეცეს კერძოდ იმ ადგილის დათვალიერებასო“.

დასაბუთებული განაჩენი ამ საქმისა გამოცხადდა სამს ოქტომბერს. ამ განაჩენზე დამცველებმა უკვე საკასაციო საჩივარი შეიტანეს.

რუსეთი

მწერალთა კავშირის წევრთა კრება. 17 ოქტომბერს უნდა მოხდეს სრულიად რუსეთის მწერალთა კავშირის წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს შემდეგი საგნები: 1. რა დამოკიდებულება იქონიონ სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნებთან; 2. საზოგადო პოლიტიკური გაფიცვა და 3. ის საკითხები, რომელიც მწერალთა კავშირის ორგანიზაციას შეეხება. ამ კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება მხოლოდ რუსეთის მწერალთა კავშირის წევრთ ექნებათ. (რ. ვ.).

ტრუბეცკოი და სასულიერო აკადემია. 1 ოქტომბერს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის სტუდენტებმა დეპუტაცია მიუგზავნეს აკადემიის რექტორს და სთხოვეს პანაშვიდის გადახდა ტრუბეცკოის სულის მოსახსენებლად. რექტორმა საპასუხოდ შემდეგი განცხადება გააკრა: „ჩემის აზრით, არა ღირს იმის სულის მოხსენიება: ტრუბეცკოი—ჩვენის ბანაკის მოწინააღმდეგე და უკიდურეს მიმართულების კაცი იყო“. ამასთან განკარგულება მოახდინა პანაშვიდის ნაცვლად სწავლის დაწყების პარაკლისი გადეხადათ; მაგრამ სტუდენტები მესამე აუდიტორიისაკენ გაემართნენ. თავმჯდომარედ ამორჩეულმა სტუდენტმა მოითხოვა, ეგალობნათ „საუკუნოდ იყოს ხსენება“ და შესანიშნავი სასოებით მოიხსენიეს განსვენებული. შემდეგ წარმოსთქვეს ცხარე სიტყვები და გაჰკიცხეს რექტორის საქციელი. სტუდენტობა

მერე შეეხო აკადემიაში ავტონომიის შემოღებას. დახურულის კენჭის ყრით უმეტესობამ საჭიროდ დაინახა ავტონომიის შემოღება ისე, როგორც სხვა საერო უმაღლეს სასწავლებლებში. ამის შესახებ რეზოლუციის შემუშავება კრებამ მიანდო დელეგატებსა და ზოგიერთ პროფესორებს. კრებამ ამასთან დაადგინა, მოითხოვოს კომისიაში მონაწილეობის მიღება ცნობილ მწერალ მოძღვრის გრიგოლ პეტროვისა, სამსახურიდან გადაყენებულის დოცენტის კარტაშოვისა და სხვა მოწინავე პირთა. (რ. ვ.).

ქალები პეტერბურგის უნივერსიტეტში. პეტერ. უნივერსიტეტში ქალების მსმენელებად მიღების საქმე ნახევრად თითქმის გადასწყდა: ზოგიერთ პროფესორის ლექციებს ქალები უკვე ესწრებიან. პროფესორთა აზრით, ეს ქალები სრულიადაც ხელს არ უშლიან და არ აბრკოლებენ ლექტორებს და მსმენელ სტუდენტებს; პირიქით, ისინი დიდის ყურადღებითა და საქმის მუყაითობით მაგალითსაც აძლევენ თურმე ზოგიერთ ვაჟ-სტუდენტებს. პროფესორები დარწმუნებულნი არიან, რომ მალე ოფიციალურადაც იქნება ნებადართული უნივერსიტეტებში მიღება იმ ქალებისა, რომელთაც შესაფერი ცენზი აქვთ. (ბ. ვ.).

საიდუმლო სტამბა აკრძალულის წიგნებით. ვიტებსკში აღმოუჩენიათ საიდუმლო სტამბა და წიგნების საწყობი ადგილობრივ სოციალ-რევოლიუციონერთა კომიტეტის ბეჭედითა და წითელის დროშით. აქვე უნახავთ თოფები, გექტოგრაფი და სალიტოგრაფიო მასალები. დაუჭერიათ 30 კაცი, რომელთაც რევოლვერები ჰქონიათ.

ბელოსტოკში ცოლ-ქმარის დავიდსონის ბინაზე პოლიციას აღმოუჩენია საიდუმლო სტამბა, მრავალი დაბეჭდილი პროკლამაცია და ორი ყუმბარა. ცოლ-ქმარი შეუპყრიათ. (რ. ს.).

დემონსტრაციები ქუჩებში. კიევში განუზრახავთ დემონსტრაციების გამართვა ქუჩებში, მაგრამ ადმინისტრაციას შესაფერი განკარგულება მოუხდენია ქალაქის დასაცველად და დემონსტრანტების ხელის შესაშლელად. (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

12 ოქტომბერი.

ქუთაისი. გუშინ, 11 ოქტომბერს, სუფსასა და ჯუმათს შუა ვიღაც კაცები თავს დაეცნენ მატარებელს. გაიტაცეს სალდათის 128 რევოლვერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოში წინადადება შეიტანეს პრესსის წარმომადგენლების საბჭოს სხდომებზე დაშვების შესახებ იმავე საფუძვლით, როგორც სახელმწიფო სათათბიროსთვის არის ეს განზრახული.

მინისტრთა კაბინეტის დაწესებას 15 ოქტომბერს გამოაქვეყნებენ.

სახელმწიფო სათათბიროს დებულების გადახედვის შესახებ გავრცელებული ხმები რამდენადმე მართალია. ახალ დაარსებულ მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე აღძრულ იქნება საკითხი სადგომებზე გადასახადის მძლეველთათვის ცენზის შემცირებისა, სათათბიროს წევრების ამომრჩევლებისთვის განათლებისცენზის დადგენისა და მიწისცენზის შემცირების შესახებ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 ოქტომბერი

ტავასჯუსი, 11 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს ბოროტ-განმზრახველთ გასტეხეს მართლმადიდებელთა ეკლესია და მოიპარეს ბარძიმი, სასანთლე და სხვა ნივთები. ქურდები ვერ შეიპყრეს.

როსტოვი-დონზე. კომერციულმა ბანკმა 5 ათასი მან. შესწირა ტრუბეცკოის სახელობაზე თავისუფალ უნივერსიტეტის დასაარსებლად.

ყაზანი. პედაგოგიურ საბჭოს დადგენილებით სამხატვრო სკოლა დაიხურა გამოურკვეველ დრომდე.

ბერლინი. ის ცნობა, ვითომც გერმანია უარს ამბობდეს საზღვაო დემონსტრაციის მოხდენაზე მაკედონიაში საფინანსო რეფორმების შემოღების გამო, ტყუილია. გერმანიას ჯერ არ ჰქონია შემთხვევა თავისი აზრი გამოეთქვა, თუ რა გზას დაადგება იგი ამ საქმეში. თანახმად საიმედო წყაროებიდან მოსულ ცნობებისა, გერმანია რუსეთთან ერთად იმოქმედებს ამ საკითხის გადაწყვეტაში.

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. დღეს მოსკოვში ნიკოლაევსკი გზით მოვიდა ორი სახალხო მატარებელი. საჩქარო და სწრაფი მატარებლები ტვერში გაჩერეს, მგზავრების ერთი ნაწილი იქ დარჩა, მეორე პეტერბურგს დაბრუნდა. კურსკის ვოკზალზე პირდაპირ მიმავალ 70 მგზავრს გზის ხარჯზე ეძლევა საზრდო.

ზოგიერთ აფთიაქის ფარმაცევტები თუმცა დააკმაყოფილეს, მაგრამ მაინც გაიფიცნენ ამხანაგებისთვის სოლიდარობის გამოსაცხადებლად.

დღეს რკინის გზის გაფიცულ მუშათა ერთმა ნაწილმა მოინდომა პოჩტამტის მუშებზე გავლენის მოხდენა და მუშაობაზე ხელის აღებინება, მაგრამ გაფანტულ იქნა ყაზახ-რუსების მიერ.

ქალაქის გამგეობა სთხოვს გრადონაჩალნიკს, დაიფაროს წყლისა და გაზის მილები და საყასბო. მოსკოვი დიდ შიშშია.

გზათა მინისტრი ხილკოვი ბევრს ეცადა ნებას დაეყოლიებია გაფიცული მემანქანეები. მან განაცხადა, რომ იგი ძველი მემანქანეა და, მიუხედავად იმისა, რომ უკვე 60 წლისაა, მზადაა პირველიავიდეს ორთქლ-მავალზე და დარწმუნებულია, რომ მას სხვებიც მიჰყვებიან, მაგრამ მემანქანეთ უპასუხეს: თუ თქვენ გსურთ, მიბრძანდით და გაისეირნეთ ორთქლ-მავალით, ჩვენ არაფერი არა გვაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ თვითონ ჩვენ-კი არავითარი ნება არა გვაქვს მუშაობას შევუდგეთ, სანამ ის პოლიტიკური მოთხოვნები, რომლების დაკმაყოფილებისკენ მიისწრაფვის მთელი რუსეთი, არ იქნება დაკმაყოფილებული.

მოსკოვში ერთი წვეთი რძე არ მოიპოვება. ძლიერ გაძვირდა ხორცი და ერბო.

სმოლენსკი. გუბერნატორმა ნება დართო რკინის გზის მოსამსახურეებსა და მუშებს შეიკრიბონ სახალხო სახლში მარტო ეკონომიურ საჭიროებაზე მოსალაპარაკებლად. მუშები შეიკრიბნენ, უარ-ჰყვეს ამნაირ პირობებში შეკრება და გადასწყვიტეს, იმოქმედონ იმ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რომელნიც შეიმუშავა რკინის გზების მოსამსახურეების დელეგატების სიეზდმა.

პეტერბურგი. „ნოვოსტი“ იუწყება, შინაგან საქმეთა მინისტრმა სათათბიროში საარჩევნო პერიოდის დაწყებისთვის შემდეგი შეღავათი მისცა როგორც ცენზურიანს ისე უცენზურო გამოცემებს: მათ შეეძლებათ თავისუფლად გამოახმაურონ და ისჯა-ბაასონ ყოველგვარ ცნობებზე, შესახებ საარჩევნო აგიტაციისა და სათათბიროს მომავალ მოქმედებისა; შეეძლებათ აგრეთვე თავისუფალი მსჯელობა იქონიონ ასარჩევ კანდიდატების ღირსება-ნაკლულოვანებაზე ამისთანა საკითხების წინააღმდეგ არ უნდა იხელმძღვანელონ საცენზურო წესდების მე-140-ე და 156-ე მუხ. რაიმე განსაკუთრებულ ცნობისა ან სჯა-ბაასისთვის არჩევნებისა, ამომრჩევ პირებისა და, საზოგადოდ, სახელმწიფო სათათბიროს შესახებ, პერიოდული გამოცემები არ ენდა დაისაჯონ ადმინისტრატიულის წესით; ისინი სამართალში მიეცემიან, თუ სასჯელთა დებულების დადგენილებანი დაარღვიეს.

პეტერბურგი. გაფიცვა ვარშავისა და ბალტიის გზებსაც მოედო. მატარებლები არ წასულა პეტერბურგიდან. ორივე ვოკზალს ჯარი უყარაულობს.

მოსკოვი. 11 ოქტომბერი. სხვა და სხვა ჯურის ხალხი შეიჭრა პოჩტამტში. ჩინოვნიკებმა მიანებეს მუშაობას თავი მათის მოთხოვნით. ხალხი სალდათებმა გაჰფანტეს. შემდეგ ხალხი მთავრობის ტელეგრაფის შენობაში შევიდა, მაგრამ აქედანაც გაგდეს სალდათებმა.

ნევის კარტოფილის სანთლის ქარხანაში მოვიდა აუარებელი მუშა და მომუშავეთ დაშლა მოსთხოვა, მაგრამ უკანასკნელები არ დაეთანხმნენ.

სიმბირსკი. რკინის გზა აღარ მოქმედებს გაფიცვის გამო.

ეკატერინოსლავი. მაღაზიები დაკეტილია; ქუჩებში კაცის ჭაჭანება არაა. გაფიცულები ცდილობენ მუქარით აღაკვეთინონ ტელეგრაფისტებს. მუშაობა ტელეგრაფის ზოგი ღიანდაგი გააფუჭეს.

ლონდონი. რუსეთის რკინის გზების გაფიცვა ძლიერ აწუხებს ლონდონის ვაჭრებს. რუსეთში ბევრი საქონელია დაწყობილი ინგლისსა და ამერიკაში გასაგზავნი. მათი გადატანა ძლიერ გაძნელდა. რუსეთის ვაჭრები აქ აზღვევინებენ საქონელს ცეცხლისა და მოსალოდნელ აჯანყებისაგან.

კურსკი. რეალური სასწავლებელი დაიკეტა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

11 ოქტომბერი.

პეტერბურგი. პოლონეთში სახელმწიფო სათათბიროს წევრების საარჩევნო წესები დამტკიცდა. ვარშავას ეძლევა 2 წევრი, გუბერნიის დანარჩენ ქალაქებსა და მაზრებს 5; კალიშის გუბერნიიდან—3; კელცისა—3; ლომჟისა—2; ლიუბლინისა—5; ქალაქ ლოძიდან—1; პეტროკოვის გუბერ.—5; პლოცკისა—2; რადომისა—3; სუვალკისა—3; სედლეცისა—3; სულ 36.

კიევის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა განუცხადა სახელმწიფოს უმაღლეს მთავრობის წარმომადგენელს აუდენციაზე, საჭიროა სრულიად გარდაიქმნეს სახელმწიფო საბჭო და მაში მონაწილეობდნენ საზოგადო მოღვაწეები და მეცნიერებით.

უმართებელს სენატის სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტმა განიხილა პოდპორუჩიკ ტარდოვის საქმე, რომელსაც სოციალ-დემოკრატიის მოწოდებათა ხალხში გავრცელება ედებოდა ბრალად. პალატამ ტარდოვს ერთი წლის ციხე გადაუწყვიტა, დეპარტამენტმა-კი 6 თვით შეუმცირა სასჯელი.

ბორისოვი. რადგანაც მოსკოვ-ბრესტის რკინის გზა გაფიცულია, ამიტომ მატარებლები მხოლოდ სმოლენსკამდე მიდიან.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრი მოხსენებას არდგენს სახელმწიფო საბჭოში, 1906 წ. 1 იანვრიდან 10 მილიონ 942 ათასი მან. შეუმციროს თავის დასახსნელი გადასახადები ვორონეჟისა, ორიოლის, პენზისა, რიაზანისა, სარატოვისა, სიმბირსკისა, ტამბოვისა და ტულის გუბერნიების გლეხებს, რომელნიც დაზარალებულნი არიან წლევანდელ უჭირნახულობით. ეს ზომა პირველი საფეხურია შემდეგისათვის გლეხების მდგომარეობის თანდათანობით შემსუბუქებისაკენ.

რიგა. შუაგულ ქალაქში მოჰკლეს დღისით მეარტელე რიგა-ორიოლის რკინის გზისა. წაიღეს პარკი 26 ათასი მანეთით. მოკლულს აღმოაჩნდა 10,572 მ. მსროლელნი მიიმალნენ. მეეტლე და ცხენი დაჭრილია.

იალტა, 11 ოქტომბერი. საერობო კრებაზე მუშები მოვიდნენ. ორატორმა პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა სახელმწიფო სათათბიროზე. დემონსტრანტებმა სუკუნო ხსენება უგალობეს თ. ტრუბეცკოის და წყნარად დაიშალნენ.

ვარშავა. პოლიტეხნიკუმის საბჭომ დაადგინა, ინსპექციის ადგილზე დაარსდეს სეკრეტარიატი სტუდენტების საქმეების შესახებ.

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. მოსკოვ-კიევ-ვორონეჟის გზიდან გაფიცვა მოსკოვ-კიევის მთელს გზასა და მის ახლო-მახლო მდებარე შტოებს მოედო. მოსკოვ-ვინდავა-რიბინსკის გზაზე ჩქარი მატარებელი საღამოს მხოლოდ სადგურ „პოდმოსკოვნიამდე“ მივიდა, იქიდან მგზავრები ფეხით მოვიდნენ მოსკოვში. მოსკოვ-კიევის გზის ვოკზალზე 2 ათასამდე მგზავრია თავმოყრილი, მეტადრე ღარიბები. თვითეულ ღარიბს დღე-და-ღამეში 50 კ. ეძლევა, პირველისა და მეორე კლასების მგზავრებს-კი თითო მან.

უნივერსიტეტის ახალმა რექტორმა მანუილოვმა გადაჭრილი უარი განაცხადა უნივერსიტეტში სახალხო მიტინგების გამართვაზე. მისის აზრით უნივერსიტეტი თანამედროვე მოძრაობაში საჭირ-ბოროტო საკითხებზე მხოლოდ ლექციებისა და კითხვების გამართვით უნდა იღებდეს მონაწილეობას.

მეაფთიაქეებმაც გადაწყვიტეს მოითხოვონ ყველა ის განმანთავისუფლებელი რეფორმები, რაც პროგრესიულმა ჯგუფებმა მოითხოვეს. ფარმაცევტები და მეაფთიაქეები შეიკრიბნენ პოლიტიკურისა და ეკონომიურ მოთხოვნების შესამუშავებლად; გადასწყვიტეს, წარადგინონ ჯერჯერობით მხოლოდ პოლიტიკური და მერმე ეკონომიური.

პორხოვი. სოფ. პოცუხში, როცა სოფლის მამასახლისი და მასთან მყოფი შვიდი ასისთავი საქონელს უწერდა გადასახადში გლეხებს, უკანასკნელებმა იარაღით წინააღმდეგობა გაუწიეს მათ.

პეტერბურგი, 11 ოქტომბერი. საღამოს ვიტტემ რკინის გზების მოსამსახურეებისა და მუშების დეპუტაცია მიიღო და დაარწმუნა იგი, რომ დაკმაყოფილებული იქნება მუშების საარსებო ეკონომიური საჭიროებანი და აგრეთვე ჩქარა იქნება განხორციელებული ყრილობების და პრესსის თავისუფლებაო.

10 ოქტომბერს ხელმწიფეს წარუდგა კიევის საბჭოს ხმოსანი დობრინინი.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 11 **ოქტომბ.** 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,75
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,65
ბირჟის დისკონტი	5½—7%
4% სახელმწიფო რენტა	88½
4% სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	84½
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	459¾
5% მე-2 შინ. სეს. მომ. ბილ. 1866 წ.	348¾
5% გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	283
5% ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4½% ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირვ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	200

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში, აქვე არის ქალაქის ღამის თავ-შესაფარი სახლები:

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯორის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 2 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე. ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარით გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორსი ვ. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—4).

ახლად კურს დამთავრებული
ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს
ჭრა-კერვა
სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ. ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. ჯანგავაძის სახ. **მ. ყიფიანისა.** (15—389—8)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ გამგეობის სადგომში 17 ოქტომბერს, შუადღის 12 საათზე, მოხდება საჯარო ვაჭრობა 75 ძირ თივის გასაყიდად ციტოხცევის მამულში (სოფ. ოლგინსკაიას მახლობლად), რომელიც ქალაქს იჯარით აქვს აღებული. თივის ადგილობრივ დათვალიერება შეიძლება ყოველ დღე. თივა გაიყიდება წონით. სასწორი იქვეა. (1—6.—1).

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას **სამკურნალო,**
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ,** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ 18 ოქტომბრისათვის, შუადღის 12 საათზე, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა. ამ ვაჭრობაზე გაიცემა ზახარიევის ვიწრო ქუჩასა და სომხის ბაზარზე არხის გაყვანის საქმე.
20 საჟ. ბეტონის მილი 0,375×0.28.
28 „ „ 0,25×0.16.
3 სასინჯი ჭა
წერილობითი განცხადებანი ფასების აღნიშვნით უნდა წარდგენილ იქნას კონვერტებით ამა წლის 13 ოქტომბრისთვის.
ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, პირობების გასინჯვა შეუძლიან გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 1-დან 2½ საათამდე. (3—6.—1)

ტფილისის საეპარქიო **სიონი ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაგშაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები-კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდელო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდი. სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—29)

1860
С.-ПЕТЕРБУРГЪ

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი. 1882 მოსკოვი. 1896 ნიჟნი-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების
ყიდვის დროს, სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).
ნარდად ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტს და ტფილისში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 октября 1905 г.